საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 70

2018 წ. "01" 06

ქ. თბილისი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 1 ივნისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 1 ივნისის №24 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

მდივანი
ნინო ჩანადირი